



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვამტკიცებ”

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირთავა

1 დეკემბერი 2021 წელი

N 48/36

ეგზ.: N1

სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
2018-2019 წლების შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	5
	1. შესავალი	7
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	7
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
	აუდიტის საგანი	7
	აუდიტის მასშტაბი	8
	აუდიტის კრიტერიუმები	8
	აუდიტის მიზანი	8
	აუდიტის მეთოდოლოგია	8
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	9
დანართები	2. აუდიტის მიგნებები	11
	დანართები	24
	საკონტაქტო ინფორმაცია	25

ტერმინები და შემოკლებები

უნივერსიტეტი – სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი – სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული – ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი.

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სტუდენტთა სწავლის გადასახადი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2019 წლების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

უცხოელი სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდის ნაკლოვანება

უნივერსიტეტმა ვერ უზრუნველყო მედიცინის მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა მოზიდვის ხელშეწყობის შესახებ მემორანდუმის ეფექტიანი მართვა, არ იყო დაცული წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესი. შედეგად, უცხოელ სტუდენტთა დავალიანება წლების მიხედვით იზრდებოდა და 2019 წლის ბოლოსათვის 1,486,817 აშშ დოლარი შეადგინა. ამასთანავე, უნივერსიტეტში ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტთა მიმართ სტატუსის შეჩერების შესახებ მიღებულია არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებები.

ზედმეტად გადახდილი სამაგისტრო პროგრამების სწავლის საფასური

წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების მოქმედ რეგულაციებთან შეუსაბამობისა და საკითხის არასათანადო შესწავლის შედეგად, მაგისტრატურის რიგი საგანმანათლებლო პროგრამის 653 სტუდენტმა, ზედმეტად გადაიხდა 332,000 ლარი. აღნიშნული თანხა ექვემდებარება სტუდენტებისთვის უკან დაბრუნებას.

სახელმწიფო შესყიდვები

არასათანადოდ დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები

უნივერსიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას არასათანადოდაა ჩატარებული ბაზრის კვლევა, რაც წარმოშობს ფინანსური რესურსების არამიზნობრივად ხარჯვისა და საბაზრო ღირებულებასთან შედარებით სამშენებლო სამუშაოების მაღალ ფასად შესყიდვის რისკებს.

სამუშაოთა შესრულების ვადების უსაფუძვლოდ გაგრძელება

უნივერსიტეტში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებში უსაფუძვლოდაა გაზრდილი სამუშაოთა შესრულების ვადები, რაც პროექტების შედგენისა და ხელშეკრულებების მართვის არსებით ხარვეზებზე მიუთითებს და შესაძლოა მიმართული იყოს მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის არანაკლებ 175,029 ლარის პირგასამტეხლოს თავის არიდებისკენ.

შესასრულებელ სამუშაოთა სახეობების და ღირებულებების ცვლილებების ნაკლოვანებები

უნივერსიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში განხორციელებული შესასრულებელ სამუშაოთა ერთეულების ღირებულების უსაფუძვლო ცვლილებებით, სახელშეკრულებო ღირებულება 114,868 ლარით გაიზარდა, რაც განპირობებულია იმით, რომ შემსყიდველის მხრიდან საკითხი არასათანადოდაა შესწავლილი. მიუხედავად იმისა, რომ ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობისათვის დახარჯულია 2,884,887 ლარი, ვიზუალური დათვალიერებით გამოვლინდა მნიშვნელოვანი დაზიანებები. შედეგად, შენობის ნორმალური ფუნქციონირებისათვის და სამუშაოების დასასრულებლად,

საჭიროა დამატებითი ფინანსური რესურსები.

უზარისხოდ შესრულებული სამუშაოები

უნივერსიტეტში არ არის დანერგილი ეფექტიანი კონტროლის მექანიზმები, რეგულარულად არ ხორციელდება შესყიდული სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგი, რის გამოც არ ხდება ნაკლოვანებების გამოვლენა და მათზე რეაგირება. კერძოდ, უნივერსიტეტის სამი შენობის მშენებლობისათვის ჯამში დახარჯულია 7,270,465 ლარი, თუმცა ვიზუალური დათვალიერებით შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ხარვეზები: მათ შორის, შენობა იტბორება, სახურავიდან ჩამოედინება წყალი, დაზიანებულია კედლები და სხვ. ამასთანავე, 132,182 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულება არ შეესაბამება ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა, თანხები ანაზღაურებულია სრულად. აღნიშნული კი წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად და არაეფექტიანად ხარჯვის რისკებს.

ტრანსპორტის ხარჯი

საწვავის არამიზნობრივად ხარჯვა

უნივერსიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებებსა და სპეციალურ ტექნიკაზე გამოყოფილი საწვავის ხარჯვის პროცესში არსებულმა სუსტმა კონტროლის მექანიზმებმა, ვერ უზრუნველყო საწვავის მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიანი კონტროლი. კერძოდ, არასამივილინებო პერიოდში შესაბამისი დასაბუთების გარეშე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ, უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხულ ავტოტრანსპორტის ავზში, 25 შემთხვევაში, ჩასხმულია 2,333 ლარის ღირებულების საწვავი, ხოლო სპეციალური ტექნიკისათვის გამოყოფილი 2,450 ლარის ღირებულების საწვავის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. აღნიშნული წარმოშობს სატრანსპორტო საშუალებების არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენებისა და ჯამში – 4,783 ლარის საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის რისკებს.

ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაციის ნაკლოვანებები

უნივერსიტეტში არ არის ჩატარებული ბალანსზე რიცხული 44,872,912 ლარის აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რაც ზრდის აქტივების დაუცველობასთან დაკავშირებულ რისკებს. ამასთანავე, საბალანსო მონაცემებში დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები უსაფუძვლოდ გაზრდილია 174,651 ლარით, რაც შიდა კონტროლის სისუსტესა და აღრიცხვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1. უნივერსიტეტმა დანერგოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს უცხოელი სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდის სწორად ადმინისტრირებას, რაც გულისხმობს შესაბამისი წესების და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას. ამასთანავე, გამოიკვლიოს და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები, უკვე არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით. მისაღები გადაწყვეტილებისას გაითვალისწინოს როგორც უნივერსიტეტის, ასევე სტუდენტების ინტერესები.

რეკომენდაცია N2. უნივერსიტეტმა სამაგისტრო პროგრამების შემუშავებისას გააძლიეროს შიდა კონტროლის სისტემა, სადაც ფუნქციები დეტალურად იქნება გაწერილი და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები განსაზღვრული, ასევე უზრუნველყოს ზედმეტად გადახდილი 332,000 ლარის სტუდენტებისათვის დაბრუნება.

რეკომენდაცია N3. უნივერსიტეტმა სატენდერო პირობებისა და სავარაუდო ღირებულებების ადეკვატურად განსაზღვრის მიზნით, შესყიდვის მოცულობისა და გამოცდილების გათვალისწინებით, დანერგოს ბაზრის კვლევის სრულყოფილი პრაქტიკა, რაც გულისხმობს ბაზრის შესწავლის ალტერნატიული ინფორმაციის წყაროების გამოყენებას.

რეკომენდაცია N4. უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილებების საჭიროების და აუცილებლობის საფუძვლიან შესწავლას. მიმწოდებლის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გამოყენებულ იქნეს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

რეკომენდაცია N5. უნივერსიტეტმა ინფრასტრუქტურული პროექტების სამართავად დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს ხელშეკრულების ღირებულების ცვლილების დასაბუთებას და მიმართული იქნება ნაკლები დანახარჯით მეტი შედეგის მიღებისაკენ. ამასთანავე, გამოიკვლიოს სამუშაოთა ერთეულის ღირებულების ზრდის მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია N6. უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სამშენებლო სამუშაოების პროცესში და მის შემდგომაც შესრულებული სამუშაოების მონიტორინგს. გამოვლენილი ხარვეზების შესახებ დროულად ეცნობოს მიმწოდებელს, ხოლო მათ მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაეკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო. ამასთანავე, გამოიკვლიოს პროექტის შეუსაბამოდ ჩაბარებული სამუშაოების მიზეზები და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

რეკომენდაცია N7. უნივერსიტეტმა ავტომობილების და სპეციალური ტექნიკის სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების და საწვავის მიზნობრივად ხარჯვის მიზნით, დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომელიც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად და ეკონომიურად ხარჯვას, ამასთანავე, გატაროს შესაბამისი ღონისძიებები აუდიტით იდენტიფიცირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია N8. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია. ამასთანავე, გათვალისწინებულ იქნეს აუდიტის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები და გამოკვლეულ იქნეს უნივერსიტეტის ქონების შესაძლო დაზიანების/დაკარგვის ფაქტები.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული:

- სახელმწიფო შესყიდვები;
- სტუდენტთა სწავლის გადასახადი;
- შრომის ანაზღაურება;
- მივლინება;
- ინვენტარიზაცია;
- ტრანსპორტის ხარჯი.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტი მოიცავს სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

-)/ საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;
 -)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
 -)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
 -)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
 -)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“;
 -)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“;
 -)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესი“;
-)/ სხვა სამართლებრივი აქტები.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

-)/ აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესწავლა და ანალიზი;
-)/ ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან;
-)/ ადგილზე დათვალიერება;
-)/ გარე დადასტურება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფო კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და წესდებით განსაზღვრულ შემდეგ საქმიანობებს: ა) სამივე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდგომი განათლების პროგრამების განხორციელება; ბ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა; გ) საგამომცემლო საქმიანობა; დ) კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების/კურსების შექმნა და განხორციელება და სხვ.

უნივერსიტეტი შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისაგან – ფაკულტეტებისაგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის (ბიბლიოთეკების) და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისგან: რექტორის აპარატი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატი, კანცელარია და მართვის ორგანოების სამდივნოები, საუნივერსიტეტო მნიშვნელობის სასწავლო, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ერთეულები.

უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

უნივერსიტეტში მოქმედებს სამი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, აგრარული და მემზრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი), სამი სამეცნიერო ცენტრი (დასავლეთ საქართველოს რეგიონული ქრომატოგრაფიული ცენტრი, ქართველოლოგიის ცენტრი, თარგმანისა და ინტერდისციპლინარული კვლევების ცენტრი) და შვიდი ფაკულტეტი (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, ტექნოლოგიური ფაკულტეტი, ტურიზმის ფაკულტეტი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი). 2018-2019 წლებში უნივერსიტეტში სწავლობდა 6,350-ზე მეტი აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.

2018-2019 წლებში უნივერსიტეტის ჯამური შემოსავლები განისაზღვრა 43,296,652 ლარით, ხოლო ხარჯები – 44,587,974 ლარით.

ცხრილი N1. უნივერსიტეტის 2018-2019 წლების შემოსავლები და ხარჯები (ლარი)

წელი	შემოსავლები	ხარჯები
2018	21,544,353	24,685,513
2019	21,752,299	19,902,461

2018-2019 წლების ჯამური შემოსავლები მოიცავს უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ – 25,156,675 ლარს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასწავლო გრანტის ფარგლებში დაფინანსებულ – 10,199,806 ლარს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მიღებულ – 6,351,499 ლარს, სხვა გრანტების სახით მიღებულ დაფინანსებას – 1,454,522 ლარს, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებულ 41,000 ლარს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან დაფინანსებულ სტიპენდიას – 93,150 ლარს.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 სტუდენტთა სწავლის გადასახადი

2.1.1 უცხოელი სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდის ნაკლოვანება

კრიტერიუმი: უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით,¹ სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში სტუდენტს შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი. უნივერსიტეტის მიერ კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმების თანახმად, კომპანია პასუხისმგებელია მოზიდული სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის დროულად გადახდაზე.

გარემოება: უნივერსიტეტმა მედიცინის მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მიზნით, უცხო ქვეყნებიდან² სტუდენტების მოზიდვის ხელშეწყობის და მათი შერჩევის ექსკლუზიური უფლებით – 2015 წელს, ოთხი წლის ვადით გააფორმა მემორანდუმი კომპანია GME CONSULTANTS-თან. მემორანდუმის თანახმად, კომპანია აპლიკანტებს აწვდიდა ინფორმაციას უნივერსიტეტის შესახებ, ასევე უზრუნველყოფდა მათ სავიზო-სააპლიკაციო ფორმებით და ეხმარებოდა სტუდენტებს სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხის მოგვარებაში; ამასთანავე, იღებდა პასუხისმგებლობას უნივერსიტეტში მოზიდული სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის დროულად გადახდაზე. მხარეებს შორის შეთანხმებით, კომპანია უფლებამოსილი იყო მოეთხოვა სტუდენტისათვის 4,000 აშშ დოლარი,³ საიდანაც უნივერსიტეტისათვის გადასახდელი თანხა შეადგენდა 3,300 აშშ დოლარს, როგორც ერთი სასწავლო წლის საფასურს.

კომპანიას პირველსავე წელს წარმოეშვა ფინანსური დავალიანება უნივერსიტეტის მიმართ. 2017 წელს ურთიერთშეთანხმებით, უნივერსიტეტმა გააფორმა ახალი მემორანდუმი შპს „ინთერნეიშენალ სთუდენტ სელ, ბიესიუსთან“,⁴ რომელმაც ასევე აიღო ვალდებულება შეესრულებინა კომპანია GME CONSULTANTS-ის ვალდებულებები. მემორანდუმების ფარგლებში 7 ნაკადად, ჩაირიცხა 628 სტუდენტი ინდოეთიდან. კომპანიების მხრიდან გადახდილია 244,075 აშშ დოლარი და 4,964,046 ლარი, რომლის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება სტუდენტების მიხედვით.⁵ ორივე კომპანიის მიერ მოზიდულ სტუდენტთა სწავლის დავალიანება წლების მიხედვით იზრდებოდა, ხოლო კომპანიის მიერ ჩარიცხული თანხები არ იყო საკმარისი წარმოშობილი დავალიანების დასაფარავად, შედეგად 2019 წლის ბოლოს, 494 სტუდენტის დავალიანებამ 1,486,817 აშშ დოლარი შეადგინა.⁶

¹ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესი“.

² ინდოეთი, ნეპალი, ბანგლადეში, ბუტანი (ბჰუტანი) და შრი-ლანკა.

³ 2017 წლის მემორანდუმით განისაზღვრა 6,000 აშშ დოლარი.

⁴ კომპანია დაფუძნებულია 2017 წლის 14 ივნისს.

⁵ უნივერსიტეტის განმარტებით, კომპანიების მხრიდან არ მიეწოდებოდათ სტუდენტების სია, რომლითაც გაირკვეოდა, თუ ვისი სწავლის საფასურის დაფარვა ხდებოდა.

⁶ მემორანდუმის შეწყვეტის დროისათვის (2019 წლის აგვისტო) კომპანიის დავალიანება შეადგენდა 1,210,387 აშშ დოლარს, რომელთან დაკავშირებითაც უნივერსიტეტმა მიმართა სასამართლოს, იმავდროულად, შპს „ინთერნეიშენალ სთუდენტ სელ, ბიესიუს“ სასამართლო წესით მოითხოვს მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და 8,412,500 აშშ დოლარის, როგორც კომპანიის მიუღებელი შემოსავლის გადახდას.

ცხრილი N2. სტუდენტთა დავალიანება სასწავლო წლების მიხედვით

სასწავლო წელი	დავალიანების მქონე სტუდენტთა რაოდენობა	დავალიანება (აშშ დოლარი)
2015-2016	25	39,400
2016-2017	161	327,262
2017-2018	225	704,512
2018-2019	494	1,486,817

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, უნივერსიტეტისათვის ცნობილი იყო, რომ სტუდენტთა ნაწილი სწავლის საფასურს უხდიდა კომპანიას, რომელიც ვალდებული იყო თანხები გადაერიცხა სასწავლებლისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის მხრიდან ვალდებულებები არ სრულდებოდა, უნივერსიტეტმა არ გაატარა სათანადო ღონისძიებები, მათ შორის, დროულად არ დაიწყო მემორანდუმის შეწყვეტის პროცედურა. გარდა ამისა, მოქმედი რეგულაციით, დავალიანების არსებობა სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია, თუმცა უცხოელ სტუდენტებს სტატუსი არ შეჩერებიათ.

უნივერსიტეტმა იმავე ფაკულტეტის ქართულენოვან სექტორზე – „უმაღლესი განათლების ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა „მედიცინა“, 2015-2019 წლებში ფინანსური დავალიანების გამო სტუდენტის სტატუსი შეუჩერა 67 სტუდენტს.⁷ აღნიშნული გარემოებები წარმოშობს კომპანიისა და უნივერსიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ არამართლზომიერი ქმედებების განხორციელების რისკებს.

დასკვნა

უნივერსიტეტმა ვერ უზრუნველყო მედიცინის მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა მოზიდვის ხელშეწყობის შესახებ მემორანდუმის ეფექტიანი მართვა, არ იყო დაცული წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესი. შედეგად, უცხოელ სტუდენტთა დავალიანება წლების მიხედვით იზრდებოდა და 2019 წლის ბოლოსათვის 1,486,817 აშშ დოლარი შეადგინა. ამასთანავე, უნივერსიტეტში ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტთა მიმართ სტატუსის შეჩერების შესახებ მიღებულია არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებები.

რეკომენდაცია N1

უნივერსიტეტმა დანერგოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს უცხოელი სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდის სწორად ადმინისტრირებას. კერძოდ, უნდა განისაზღვროს შესაბამისი წესები და კონკრეტული პასუხისმგებელი პირები. ამასთანავე, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გამოიკვლიოს და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები, უკვე არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც უნივერსიტეტის, ასევე სტუდენტების ინტერესები.

⁷ დავალიანება ჯამში შეადგენდა 39,486 ლარს.

2.1.2 ზედმეტად გადახდილი სამაგისტრო პროგრამების სწავლის საფასური

კრიტერიუმი: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის საფასური შეიძლება აღემატებოდეს სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის ოდენობას, მხოლოდ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით.⁸ გრანტის ოდენობა განსაზღვრული იყო 2250 ლარით.

გარემოება: უნივერსიტეტმა კანონდარღვევით, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების გარეშე, სამაგისტრო პროგრამებზე⁹ სწავლის საფასური 2011 წლიდან განსაზღვრა 2,500 ლარისა და 2,750 ლარის ოდენობით.¹⁰ შედეგად, 2011 წლიდან 2021 წლამდე, 653 სტუდენტმა ზედმეტად გადაიხადა, ჯამში – 332,000 ლარი. აღნიშნულთან დაკავშირებით, აუდიტის პერიოდში, წარმომადგენლობითმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილებები¹¹ სამაგისტრო პროგრამების სწავლის საფასურის შემცირების და ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების თაობაზე.

დასკვნა

წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების მოქმედ რეგულაციებთან შეუსაბამობისა და საკითხის არასათანადო შესწავლის შედეგად, მაგისტრატურის რიგი საგანმანათლებლო პროგრამის 653 სტუდენტმა, ზედმეტად გადაიხადა 332,000 ლარი. აღნიშნული თანხა ექვემდებარება სტუდენტებისთვის უკან დაბრუნებას.

რეკომენდაცია N2

უნივერსიტეტმა სამაგისტრო პროგრამების შემუშავებისას გააძლიეროს შიდა კონტროლის სისტემა, სადაც ფუნქციები დეტალურად იქნება გაწერილი და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები განსაზღვრული, ასევე უზრუნველყოს ზედმეტად გადახდილი 332,000 ლარის სტუდენტებისათვის დაბრუნება.

2.2 სახელმწიფო შესყიდვები

2018-2019 წლებში სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განახორციელა 670 შესყიდვა (იხ. ცხრილი N2), რომლის შედეგად გააფორმა 11,287,125 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები. ხელშეკრულებების ღირებულების 47% დაიხარჯა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. აუდიტის პერიოდში ასევე შესწავლილ იქნა, ჯამში – 4,523,397 ლარის ღირებულების, ოთხი ხელშეკრულება, რომლებითაც გათვალისწინებული სამუშაოები დაიწყო 2017 წელს და დასრულდა მომდევნო წლებში.

⁸ საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 81, პუნქტი 3.

⁹ სამაგისტრო პროგრამებს გაველილი ჰქონდა აკრედიტაცია სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. მათ მიერ აღნიშნული ხარვეზი გამოვლენილია 2021 წელს.

¹⁰ 2011 წელს 3 სამაგისტრო პროგრამაზე – „ბიზნესის ადმინისტრირება“, „ფინანსები და საბანკო საქმე“, „სამართალი“, სწავლის წლიური საფასური განისაზღვრა 2,500 ლარით, ხოლო 2017-2018 სასწავლო წლიდან 2,500 ლარით – „ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის“ და 2,750 ლარით – „სამართლის“, „ბიზნესის ადმინისტრირების“ და „ფინანსებისა და საბანკო საქმის“ სამაგისტრო პროგრამებზე.

¹¹ წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება N07-01/11 და 2021 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება N07-01/30.

ცხრილი N2. 2018-2019 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

წელი	ელექტრონული ტენდერი	კონსოლიდირებული ტენდერი	გამარტივებული შესყიდვის რაოდენობა	ხელშეკრულების ღირებულება (ლარი)
2018	106	18	202	7,579,328
2019	74	49	221	3,707,797

2.2.1 არასათანადოდ დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები

კრიტერიუმი: ყოველი შესყიდვის განხორციელების პროცედურების დაწყებამდე, წლიური გეგმის შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაცია უნდა ატარებდეს მოსამზადებელ სამუშაოებს შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობის დაზუსტების, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით.¹² ტენდერის წარმატებულად ჩატარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომ სათანადოდ წარიმართოს ბაზრის კვლევა და გათვალისწინებულ იქნეს ადრე განხორციელებული შესყიდვების შედეგები.

გარემოება 1: 2018-2019 წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვის მიზნით ჩატარებული ტენდერების ანალიზით ირკვევა, რომ ვაჭრობის შედეგად სავარაუდო ღირებულებასა და სახელშეკრულებო ღირებულებას შორის სხვაობა 29%-დან 45%-მდე მერყეობს (იხ. ცხრილი N3).

ცხრილი N3. სავარაუდო და ხელშეკრულების ღირებულებებს შორის სხვაობების შედარება

N	სამუშაოს დასახელება	მონაწი ლეთა რაოდე ნობა	სავარაუდო ღირებულება	ხელშეკრულები ს ღირებულება	სხვაობა (ლარი)	ფასდაკლება
1	უნივერსიტეტის I და II კორპუსების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები	8	600,000	407,997	192 003	32%
2	უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ტერიტორიის კეთილმოწყობა	12	150,000	104,995	45,005	30%
3	სტუდენტთა საცხოვრებლის ავეჯი	4	260,840	184,000	76,840	29%
4	უნივერსიტეტის II კორპუსის IV და V სართულების გათბობის ქსელისა და შენობის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები	8	211,900	116,000	95,900	45%
5	უნივერსიტეტის I და II კორპუსების სარემონტო სამუშაოები	19	191,000	115,850	75,150	39%

როგორც ცხრილიდან ჩანს, როდესაც სავარაუდო ღირებულება 150,000 ლარსა და 600,000 ლარს შორის მერყეობს, ვაჭრობის შედეგად ეკონომია 45,000 ლარიდან 192,000 ლარამდეა, აღნიშნული კი მოსამზადებელ ეტაპზე სავარაუდო

¹² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“.

ღირებულების განსაზღვრის მიზნით არასრულყოფილად ჩატარებული კვლევების შედეგია, რაც კონკურენციის არარსებობის პირობებში წარმოშობს შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებაზე ძვირად შეძენის რისკს. მაგალითად, კვლევითი ინსტიტუტის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას, რომლის სავარაუდო ღირებულება განსაზღვრული იყო 1,600,000 ლარით, კონკურენციის არარსებობის პირობებში, ეკონომიამ მხოლოდ 1,38% შეადგინა.

დასკვნა

უნივერსიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას არასათანადოდაა ჩატარებული ბაზრის კვლევა, რაც წარმოშობს ფინანსური რესურსების არამიზნობრივად ხარჯვისა და საბაზრო ღირებულებასთან შედარებით სამშენებლო სამუშაოების მაღალ ფასად შესყიდვის რისკებს.

რეკომენდაცია N3

უნივერსიტეტმა სატენდერო პირობებისა და სავარაუდო ღირებულებების ადეკვატურად განსაზღვრის მიზნით, შესყიდვის მოცულობისა და გამოცდილების გათვალისწინებით, დანერგოს ბაზრის კვლევის სრულყოფილი პრაქტიკა, რაც გულისხმობს ბაზრის შესწავლის ალტერნატიული ინფორმაციის წყაროების გამოყენებას.

2.2.2 სამუშაოთა შესრულების ვადების უსაფუძვლოდ გაგრძელება

კრიტერიუმი: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა.¹³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის¹⁴ თანახმად, არსებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია, თუ შეიცვალა გარემოებები, რომელთა საფუძველზე გაფორმდა ხელშეკრულება.

გარემოება 1: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულებისას ხშირია სამუშაოთა შესრულების ვადის გაგრძელება, რასაც საფუძვლად უდევს რამდენიმე მიზეზი: ახალი სამუშაოების დამატება, მოცდენის ვადის ანაზღაურება და სხვ. თუმცა აღნიშნული მოტივით ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა და სამუშაოთა შესრულების ვადის გაგრძელება დამატებულ სამუშაოებთან მიმართებით, საფუძველს მოკლებულია, კერძოდ:

) უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსის მშენებლობის, ღობის მოწყობისა და ვერტიკალური დაგეგმარების სამუშაოების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება¹⁵ ითვალისწინებდა 2,660,543 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებას, 2018 წლის 21 დეკემბრამდე. მშენებლობის დროს საჭირო გახდა, რომ შეცვლილიყო¹⁶ შენობის I სართულის და სარდაფის შიდა განლაგება. აღნიშნულის საფუძველზე, შენობის პროექტის ავტორმა მოამზადა ხარჯთაღრიცხვაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი, მანამდე კი მიმწოდებელს ეთხოვა სამუშაოების შეჩერება.¹⁷ დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვის მომზადების შემდგომ, ხელშეკრულებაში შეტანილი

¹³ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

¹⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 398.

¹⁵ 2018 წლის 21 თებერვლის ხელშეკრულება N47.

¹⁶ სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს 2018 წლის 5 ოქტომბრის წერილი N02/567, რომლის თანახმად უნდა დაფუძნებულიყო ბათუმის ტექნოპარკი, რომელიც განთავსდებოდა უნივერსიტეტის ახალ შენობაში.

¹⁷ უნივერსიტეტის 2018 წლის 31 ოქტომბრის წერილი N0 18 01403879.

ცვლილებებით,¹⁸ სამუშაოთა შესრულების ვადა გაიზარდა 8 თვით,¹⁹ ხოლო სახელშეკრულებო ღირებულება – 180,000 ლარით.

სამუშაოთა შესრულების ვადის 8 თვით გაგრძელების საფუძველად²⁰ მითითებულია დამპროექტებლის მიერ განსაზღვრული, დამატებითი სამუშაოებისათვის 6-თვიანი ვადა და 2 თვე მიმწოდებლისათვის – სამუშაოების შეჩერების პერიოდი. აღნიშნული ვადით, სამუშაოთა შესრულების ვადის გაგრძელება არარელევანტურია და ის შესაძლოა მიმართული იყოს მიმწოდებლისათვის არანაკლებ 31,927 ლარის პირგასამტეხლოს თავის არიდებისაკენ, კერძოდ: რეალობას მოკლებულია პროექტის ავტორის მიერ განსაზღვრული ვადა, რადგან მთლიანი შენობის აშენებისათვის, გარე და შიდა მოპირკეთებისათვის და ტერიტორიის შემოღობვა-მოწყობისათვის, ჯამში სავარაუდო ღირებულებით – 2,957,00 ლარის²¹ სამუშაოებისათვის განისაზღვრა 10 თვე, ხოლო დამატებული 180,000 ლარის სამუშაოებისათვის, რომელიც მოიცავს შიდა მოწყობის სამუშაოებს, განისაზღვრა 6 თვე. ამასთანავე, წარმოდგენილი ფარული სამუშაოების აქტების²² თანახმად, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა წარმომადგენლები, დგინდება, რომ სამუშაოები ფაქტობრივად არ იყო შეჩერებული და მიმდინარეობდა. საყურადღებოა, რომ ცვლილებების შეტანის მომენტისათვის, მიმწოდებელს მთლიანად უნდა ჰქონოდა დასრულებული სამუშაოები, მას კი შესრულებული ჰქონდა მხოლოდ 1,419,926 ლარის სამუშაოები, რაც მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების მხოლოდ 53%-ია. ხელშეკრულებაში განხორციელებული არაერთი ცვლილების²³ შედეგად, სამუშაოთა შესრულების ვადა ჯამში 405 დღით²⁴ გაიზარდა. მიუხედავად ამისა, სამუშაოები დროულად არ დასრულდა.²⁵

) ანალოგიურადაა გაგრძელებული ვადა სტუდენტთა 2,359,000 ლარის ღირებულების საცხოვრებელი შენობის მშენებლობის ხელშეკრულებაში.²⁶ 2017 წლის 11 დეკემბერს ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებით, დამატებულ იქნა 233,083 ლარის ღირებულების სამუშაოები.²⁷ აღნიშნული ცვლილების თანახმად, მხარეები თანხმდებოდნენ არსებულ ვადაში მთლიანი სამუშაოების შესრულებაზე. გამომდინარე აქედან, დამატებული სამუშაოების შესრულებაზე ვალდებულების აღებიდან 7 თვის შემდგომ, სამუშაოთა დასრულების ვადის ბოლო დღეს, როდესაც მიმწოდებელს შესრულებული ჰქონდა მთლიანი სამუშაოების მხოლოდ 53%. დამატებული სამუშაოების მოტივით სამუშაოების შესრულების ვადის 110 დღით²⁸ გაგრძელება,²⁹ უსაფუძვლოა და შესაძლოა მიმართული იყოს მიმწოდებლისათვის 57,026 ლარის პირგასამტეხლოს გადახდისაგან თავის ასარიდებლად.

¹⁸ 2018 წლის 31 დეკემბრის შეთანხმება N3.

¹⁹ არაუგვიანეს 2019 წლის 19 აგვისტოსი.

²⁰ 2018 წლის 19 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათი N MES 4 18 01632725.

²¹ ღირებულება, რომელიც განსაზღვრა პროექტის ავტორმა და რომლითაც გამოცხადდა შესყიდვა.

²² ფარული სამუშაოების აქტები: N28, 16 ნოემბერი, 2018 წ.; N29, 30 ნოემბერი, 2018 წ.

²³ ცვლილებები დაკავშირებული იყო როგორც პროექტში არსებულ ხარვეზებთან, ასევე შემსყიდველის მხრიდან პროექტის და ხარჯთაღრიცხვის საკუთარი შეხედულებისამებრ პერიოდულად შეცვლასთან.

²⁴ 2020 წლის 30 იანვრამდე.

²⁵ მიმწოდებელს დაერიცხა პირგასამტეხლო 50,899 ლარის ოდენობით. სხვადასხვა პერიოდში სამუშაოთა დასრულების ვადის დარღვევისათვის მიმწოდებელი ექვემდებარებოდა 67,140 ლარით მეტი პირგასამტეხლოს დარიცხვას, ჯამში – 118,039 ლარის ოდენობით.

²⁶ მიმწოდებელი – შპს „ვექტორი“.

²⁷ შენობას დაემატა ერთი სართული.

²⁸ 3 თვე პროექტანტის მიერ განსაზღვრული ვადა სართულის დაშენებისათვის და 21 დღე – პროექტის შედგენის დროს მოცდენილი დრო.

²⁹ 2018 წლის 18 ივნისის შეთანხმება.

) ქალაქ ქობულეთში, კვლევითი ინსტიტუტის შენობის სამშენებლო სამუშაოებისათვის, უნივერსიტეტმა ელექტრონული ტენდერის საშუალებით³⁰ გააფორმა 1,578,000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება.³¹ სამუშაოების მიმდინარეობისას საჭირო გახდა ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა,³² რის საფუძველზეც პროექტის ავტორის მიერ სათანადო კვლევების ჩატარებისა და ხარჯთაღრიცხვის მომზადებამდე, მიმწოდებელს ეთხოვა სამუშაოების დროებით შეჩერება.³³ ამის შემდეგ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადა გაგრძელდა მოცდენილი 60 დღით, თუმცა წარმოდგენილი ფარული სამუშაოების აქტებით,³⁴ რომელიც დადასტურებულია ასევე უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის მიერ, მიმწოდებელი აგრძელებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებას. აქედან გამომდინარე, სამუშაოების ვადის გაგრძელების საფუძველი რეალობას მოკლებულია და ის შესაძლოა მიმართული იყოს მიმწოდებლისათვის პირგასამტეხლოს თავის არიდებისაკენ, რაც 60 დღისათვის შეადგენდა 18,936 ლარს.

გარემოება 2: უნივერსიტეტის ინიციატივით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებში, ხშირ შემთხვევაში განხორციელებულია დაუსაბუთებელი ცვლილებები, რის გამო იზრდებოდა სახელშეკრულებო ღირებულება. მაგალითად:

) უნივერსიტეტმა ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის, ელექტრონული ტენდერის საშუალებით, გააფორმა 104,995 ლარის ღირებულების ხელშეკრულება. სამუშაოები ითვალისწინებდა ტერიტორიის შემოღობვას და გზის რეაბილიტაციას. ხელშეკრულების დადებიდან ერთ თვეში, დამატებითი სამუშაოების შესრულების საჭიროების მოტივით, გაიზარდა სამუშაოთა სახეობები და სახელშეკრულებო ღირებულება – 8,121 ლარით. დამატებითი სამუშაოების³⁵ საჭიროება და რაოდენობა არ არის დადასტურებული პროექტანტის მიერ, ასევე არ დასტურდება, რატომ არ იყო ის თავიდანვე გათვალისწინებული.

) კვლევითი ინსტიტუტის შენობის მშენებლობის ფარგლებში, უნივერსიტეტის რექტორის სიტყვიერი განკარგულებისა და ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორის მოთხოვნით, ხელშეკრულებაში განხორციელდა ცვლილება, რომლითაც დაემატა მშენებარე შენობის საგუმავოს აშენების და ძირითადი შენობის ფასადის აკრილით შესასრულებელი სამღებრო სამუშაოები. აღნიშნულის საფუძველზე, სახელშეკრულებო ღირებულება გაიზარდა 51,349 ლარით, ხოლო სამუშაოთა დასრულების ვადა – ერთი თვით.

³⁰ NAT170009635.

³¹ ხელშეკრულება N241, 2017 წლის 6 ოქტომბერი, მიმწოდებელი შპს „ვექტორი“.

³² საჭირო გახდა მშენებარე კორპუსთან არსებული სანიაღვრე-სადრენაჟე არხის რეაბილიტაცია, ვინაიდან საფრთხეს უქმნიდა ფუძის მდგრადობას.

³³ უნივერსიტეტის 2018 წლის 16 აპრილის წერილი MES 1 18 00419838.

³⁴ 2017 წლის ფარული სამუშაოების აქტები: N12, 14 ნოემბერი; N14, 15 ნოემბერი; N19, 16 ნოემბერი; N20, 18 ნოემბერი; N7, 20 ნოემბერი; N8, 24 ნოემბერი; N15, 25 ნოემბერი; N17, 2 დეკემბერი; N21, 7 დეკემბერი; N16, 9 დეკემბერი; N18, 10 დეკემბერი; N9, 11 დეკემბერი; N10, 11 დეკემბერი; N11, 11 დეკემბერი.

³⁵ 1000 ცალი ხის მოჭრა, 350 კვ.მ ფართობის ბუჩქნარის გაჩეხვა, 148 ტონა სამშენებლო ნაგვის გატანა და სხვ.

მაგალითებიდან ჩანს, რომ დაგეგმვის ეტაპზე, მოსამზადებელი სამუშაოების სწორად წარმართვის შემთხვევაში, დამატებული ახალი სამუშაოები შესაძლებელი იყო ხელშეკრულებაში თავიდანვე ყოფილიყო გათვალისწინებული, ხოლო ნაწილი ექვემდებარება ცალკე შესყიდვას.

დასკვნა

უნივერსიტეტში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებში უსაფუძვლოდაა გაზრდილი სამუშაოთა შესრულების ვადები, რაც პროექტების შედგენისა და ხელშეკრულებების მართვის არსებით ხარვეზებზე მიუთითებს და შესაძლოა მიმართული იყოს მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის არანაკლებ 175,029 ლარის პირგასამტეხლოს თავის არიდებისკენ.

რეკომენდაცია N4

უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილებების საჭიროების და აუცილებლობის საფუძვლიან შესწავლას. მიმწოდებლის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გამოყენებულ იქნეს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

2.2.3 შესასრულებელ სამუშაოთა სახეობებისა და ღირებულებების ცვლილებების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.³⁶

გარემოება 1: უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსის მშენებლობის,³⁷ ღობის მოწყობისა და ვერტიკალური დაგეგმარების სამუშაოების შესყიდვის შესახებ, ტენდერის³⁸ შედეგების გათვალისწინებით, ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 2,660,543 ლარით. ხელშეკრულებაში სხვადასხვა დროს შევიდა შვიდი ცვლილება, რომელიც ეხებოდა სამუშაოთა დამატებას, სახელშეკრულებო ღირებულების ზრდას, სამუშაოთა შესრულების ვადის გაგრძელებას და სხვ. ცვლილების შედეგად, შეიცვალა სატენდერო ხარჯთაღრიცხვის პარამეტრების უმრავლესობა, გაუქმდა 164,991 ლარის და დაემატა 314,815 ლარის ღირებულების სამუშაოები. ამასთანავე, ფიქსირდება ტენდერის შედეგად განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების ერთეულის ღირებულების გაზრდის ფაქტები, რის შედეგად ხელშეკრულების საერთო ღირებულება 114,868 ლარით გაიზარდა (იხ. დანართი N1). პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილი განმარტებების შესაბამისად, ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებები მშენებარე კორპუსის ფუნქციონალური დატვირთვის შეცვლამ³⁹ განაპირობა, თუმცა მათი ახალი ღირებულების განსაზღვრის საფუძვლები აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი.

³⁶ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 21, პუნქტი 5.

³⁷ ბათუმი, ლეონიდის ქუჩა N15.

³⁸ NAT170015602.

³⁹ სასწავლო კორპუსის I სართულზე ტექნოპარკის, ხოლო სარდაფში - პროფესიული განათლების ცენტრის მოწყობის სამუშაოები დაემატა.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად ხელშეკრულების ღირებულება 264.692 ლარით გაიზარდა.⁴⁰ აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად შედგენილ და დამტკიცებულ საპროექტო ხარჯთაღრიცხვიდან ამოღებულ იქნა რიგი სამუშაოები, ასევე რიგ შემთხვევებში შემცირებულ იქნა ჩასატარებელ სამუშაოთა მოცულობები, თუმცა ამოღებული სამუშაოების შესყიდვაზე 2020 წელს ჩატარებული ტენდერების⁴¹ შედეგად გახარჯულია 48,581 ლარი და ასევე წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად, ეზოს კეთილმოწყობისათვის დამატებით საჭიროა 256,018 ლარი.

დასკვნა

უნივერსიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში, შესასრულებელ სამუშაოთა ერთეულის ღირებულების უსაფუძვლო ცვლილებებით, სახელშეკრულებო ღირებულება 114,868 ლარით გაიზარდა, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს შემსყიდველის მხრიდან საკითხის არასათანადო შესწავლით. მიუხედავად იმისა, რომ ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობისათვის დახარჯულია 2,884,887 ლარი, ვიზუალური დათვალიერებით შეიმჩნევა მნიშვნელოვანი დაზიანებები, შედეგად, შენობის ნორმალური ფუნქციონირებისათვის და დასრულებითი სამუშაოებისათვის, კვლავ მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსია საჭირო.

რეკომენდაცია N5

უნივერსიტეტმა ინფრასტრუქტურული პროექტების სამართავად დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს ხელშეკრულების ღირებულების ცვლილების დასაბუთებას და მიმართული იქნება ნაკლები დანახარჯით მეტი შედეგის მიღებისაკენ. ამასთანავე, გამოიკვლიოს სამუშაოთა ერთეულის ღირებულების ზრდის მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

2.2.4 უხარისხოდ

შესრულებული სამუშაოები

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების თანახმად, სამუშაო უნდა შესრულდეს ხარისხიანად და განსაზღვრული პირობების შესაბამისად, აღნიშნულის დადასტურების შემდგომ ხორციელდება გაწეული სამუშაოს ანაზღაურება. ასევე საგარანტიო ვადაში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, დაზიანება ან/და უხარისხოდ შესრულებული სამუშაო გამოასწოროს დროულად და საკუთარი ხარჯებით.⁴²

გარემოება 1: უნივერსიტეტმა სამი შენობის მშენებლობისათვის ჯამში გადაიხადა 7,270,465 ლარი, თუმცა აუდიტის ჯგუფის მიერ ინფრასტრუქტურული სამუშაოების ვიზუალური დათვალიერებისას გამოვლინდა არსებითი ხასიათის ხარვეზები, კერძოდ: უნივერსიტეტის ახალი სასწავლო კორპუსის შენობის სარდაფის მთლიანი ფართი დატბორილი და ფუნქციურად გამოუყენებელია; ქალაქ ქობულეთში მდებარე კვლევითი ინსტიტუტის შენობის სახურავი, ხოლო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის შენობაზე გარე ფილები და კედლები დაზიანებულია. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ხარვეზების ნაწილი გამოვლენილი იყო სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებამდე.

ვინაიდან ხელშეკრულება ითვალისწინებდა სამუშაოებზე საგარანტიო ვადას, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში, უნივერსიტეტმა მიმწოდებელს მიმართა⁴³

⁴⁰ საერთო ჯამში, ფაქტობრივად, გადახდილია 2,884,887 ლარი.

⁴¹ NAT200011096, NAT200011711.

⁴² ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

⁴³ 2020 წლის 19 თებერვლის წერილი N MES 4 20 00214745; 2020 წლის 25 სექტემბრის წერილი N MES 9 20 0000892175; 2021 წლის 22 მარტის წერილი N MES 4 21 0000267533; 2021 წლის 1 აპრილის წერილი N MES 8 21 000031140.

ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით, თუმცა მათი მხრიდან ამ მიმართვას რეაგირება არ მოჰყოლია, ხოლო შემსყიდველმა არ გაატარა შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები. პროექტის შეუსაბამოდ ჩატარებული სამუშაოები წარმოშობს რისკებს, რომ სათანადოდ არ ხორციელდება შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი და უნივერსიტეტმა ანაზღაურა ხარვეზით შესრულებული სამუშაოები.

გარემოება 2: უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსის და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობის ხელშეკრულებები ითვალისწინებდა ჯამში 12,515 ტონა გრუნტის გატანას 7 კმ-ის დაშორებით, რისთვისაც გადახდილია 71,017ლარი.⁴⁴ უნივერსიტეტის ახლად აშენებული სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის და სასწავლო კორპუსის ტერიტორიის⁴⁵ ვიზუალური დათვალიერებისას გამოვლენილი რისკების⁴⁶ საფუძველზე, აუდიტის ჯგუფის მიერ გარე დასტურის წერილით მოთხოვნილ იქნა მიმწოდებლებისაგან, აღნიშნული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.⁴⁷ ერთ შემთხვევაში, მიმწოდებლის⁴⁸ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით ვერ დგინდება გრუნტის მოცულობისა და მისი ტერიტორიიდან გატანის რეალობა, ხოლო სასწავლო კორპუსის მშენებარე კომპანიის მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე სახის დოკუმენტი. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა 71,017 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულების მტკიცებულება.

უნივერსიტეტის ახალი სასწავლო კორპუსის და კვლევითი ინსტიტუტის შენობებში დამონტაჟებული სამგზავრო ლიფტები არ შეესაბამება ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს.⁴⁹ მიუხედავად აღნიშნულისა, მიმწოდებლებისათვის ანაზღაურებულია თანხა სრულად, 63,165 ლარის⁵⁰ ოდენობით, ხოლო სამუშაოები შესრულებულად დადასტურებული აქვს ტექნიკურ ზედამხედველს და აკრედიტირებულ, დამოუკიდებელ ექსპერტს.⁵¹

დასკვნა

უნივერსიტეტში არ არის დანერგილი ეფექტიანი კონტროლის მექანიზმები, რეგულარულად არ ხორციელდება შესყიდული სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგი, რის გამოც არ ხდება ნაკლოვანებების გამოვლენა და მათზე რეაგირება. კერძოდ, უნივერსიტეტის სამი შენობის მშენებლობისათვის ჯამში დახარჯულია 7,270,465 ლარი, თუმცა ვიზუალური დათვალიერებით შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ხარვეზები: მათ შორის, შენობა იტბორება, სახურავიდან ჩამოედინება წყალი, დაზიანებულია კედლები და სხვ. ამასთანავე, 132,182 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულება არ შეესაბამება ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა, თანხები ანაზღაურებულია სრულად. აღნიშნული კი წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად და არაეფექტიანად ხარჯვის რისკებს.

⁴⁴ დღგ-ის ჩათვლით.

⁴⁵ აღნიშნული შენობები მდებარეობს საერთო მისამართზე: ბათუმი, ლეონიძის ქუჩა N15.

⁴⁶ ტერიტორიაზე მრავლადაა გრუნტის ნაყარი.

⁴⁷ სასაქონლო ზედნადებები.

⁴⁸ საერთო საცხოვრებლის მშენებარე კომპანია.

⁴⁹ შენობები უნდა ყოფილიყო აღჭურვილი ლიფტებით ოთხ გაჩერებაზე, რეალურად დამონტაჟებულია სამ გაჩერებაზე.

⁵⁰ დღგ-ის ჩათვლით.

⁵¹ შპს „ბათ ექსპერტი“, შპს „საქართველოს ექსპერტთა კოლეგია“.

რეკომენდაცია N6

უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სამშენებლო სამუშაოების პროცესში და მის შემდგომაც შესრულებული სამუშაოების მონიტორინგს. გამოვლენილი ხარვეზების შესახებ დროულად ეცნობოს მიმწოდებელს, ხოლო მათ მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაეკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო. ამასთანავე, გამოიკვლიოს პროექტის შეუსაბამოდ ჩაბარებული სამუშაოების მიზეზები და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

2.3 ტრანსპორტის ხარჯი

2018-2019 წლებში უნივერსიტეტის ტრანსპორტის საკასო ხარჯებმა შეადგინა 274,773 ლარი, მათ შორის, საწვავ-საპოხი მასალის ხარჯი შეადგენს 108,197 ლარს, სათადარიგო ნაწილების და რემონტის ხარჯი – 128,024 ლარს, ხოლო ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი – 38,552 ლარს.

2.3.1 საწვავის

არამიზნობრივად ხარჯვა

კრიტერიუმი: უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები აღჭურვილია აგაის სისტემით⁵². აღნიშნულით შესაძლებელია საწვავის ჩასხმაზე სათანადო კონტროლის დაწესება, ავტოსატრანსპორტო საშუალების, გამოყენებული საწვავის რაოდენობისა და ადგილის იდენტიფიცირების გზით.

გარემოება: უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული, ექსპლუატაციაში⁵³ მქონე 10 ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გაწეული საწვავის ხარჯის შესწავლის შედეგად, 6 ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გამოვლინდა 25 შემთხვევა, როდესაც უფლებამოსილი პირ(ებ)ი არ იმყოფებოდა მივლინებაში, თუმცა ავტომანქანა ფიქსირდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. ამ პირობებში გახარჯულია 2,333 ლარის ღირებულების 910 ლიტრი საწვავი, რაც შეიცავს არამიზნობრივად ხარჯვის რისკებს. ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე არ არის სათანადოდ დამონტაჟებული აგაი სისტემის ჩიპები (მეხსიერების ბარათი), რაც ამცირებს საწვავის დანიშნულებით მოხმარების კონტროლის შესაძლებლობას.

უნივერსიტეტი სპეციალური ტექნიკისათვის⁵⁴ საწვავის ჩასხმის მიზნით იყენებს საბარათე სისტემას. 2018-2019 წლებში ბარათის საშუალებით გახარჯულია 2,450 ლარის ღირებულების 609 ლიტრი ბენზინი და 463 ლიტრი დიზელი. ობიექტის მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი საწვავის მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.⁵⁵

დასკვნა

უნივერსიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებებსა და სპეციალურ ტექნიკაზე გამოყოფილი საწვავის ხარჯის პროცესში არსებულმა სუსტმა კონტროლის მექანიზმებმა, ვერ უზრუნველყო საწვავის მიზნობრივი ხარჯის ეფექტიანი კონტროლი. კერძოდ, არასამივლინებო პერიოდში შესაბამისი დასაბუთების გარეშე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ, უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხულ ავტოსატრანსპორტის ავზში, 25 შემთხვევაში, ჩასხმულია 2,333 ლარის ღირებულების საწვავი, ხოლო სპეციალური

⁵² ავტომანქანის გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემა.

⁵³ 2018-2019 წლებში.

⁵⁴ მოხსენებითი ბარათების თანახმად, აღნიშნულ ტექნიკას იყენებს უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი, საცდელი ნაკვეთის დასამუშავებლად.

⁵⁵ სამუშაოს შესრულების აქტი ან/და მოხსენებითი ბარათი და სხვ.

ტექნიკისათვის გამოყოფილი 2,450 ლარის ღირებულების საწვავის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. აღნიშნული წარმოშობს სატრანსპორტო საშუალებების არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენებისა და ჯამში – 4,783 ლარის საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის რისკებს.

რეკომენდაცია N7

უნივერსიტეტმა ავტომობილების და სპეციალური ტექნიკის სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების და საწვავის მიზნობრივად ხარჯვის მიზნით, დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომელიც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად და ეკონომიურად ხარჯვას, ამასთანავე, გატაროს შესაბამისი ღონისძიებები აუდიტით იდენტიფიცირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით.

2.4 ინვენტარიზაცია

2.4.1 ინვენტარიზაციის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: კანონმდებლობის შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის და აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტი ვალდებულია დადგენილ ვადებში ჩაატაროს ქონების, მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.⁵⁶ საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს.

გარემოება: უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 31 იანვარის N01-10/11 და 2019 წლის 28 მარტის N01-10/40 ბრძანებებით შექმნილია საინვენტარიზაციო კომისია, თუმცა პროცესი არცერთ შემთხვევაში არ არის დასრულებული. შესაბამისად, არ არის წარმოდგენილი აქტი ინვენტარიზაციის შედეგებზე.

აუდიტის პერიოდში არ ჩატარებულა ასევე ბალანსზე რიცხული მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. უნივერსიტეტს ერიცხება ისეთი სახის მოთხოვნები და ვალდებულებები, რომელთა არსებობა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ დასტურდება. წარმოდგენილი ინფორმაციით, შესამოწმებელი პერიოდის ბოლოს რიცხული 180,012 ლარის⁵⁷ საგადასახადო აქტივი და 9,841 ლარის საგადასახადო ვალდებულება მხოლოდ საბუღალტრო ნაშთებია და არა ბიუჯეტის მიმართ რეალური მოთხოვნა და ვალდებულება. აუდიტის ჯგუფის მოთხოვნით, უნივერსიტეტის განცხადების პასუხად შემოსავლების სამსახურის წერილის⁵⁸ მიხედვით, 2019 წლის 31 დეკემბრისათვის ერიცხება ზედმეტად გადახდილი თანხა – 8,101 ლარი. აღნიშნული ადასტურებს, რომ უნივერსიტეტის საბალანსო მონაცემებში მოთხოვნები 172,911 ლარით, ხოლო ვალდებულებები 1,740 ლარით – უსაფუძვლოდაა გაზრდილი.

ინვენტარიზაციის ვალდებულების შეუსრულებლობა, ასევე ზრდის უნივერსიტეტის აქტივების დაკარგვის, განადგურების ან დაზიანების რისკებს.

⁵⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.

⁵⁷ წინასწარ გადახდილი დღგ - 3,361 ლარი, წინასწარ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი - 3,436 ლარი, წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი - 173,206 ლარი, წინასწარ გადახდილი მიწის გადასახადი - 9 ლარი. 2021 წლის 13 მაისის წერილი N 21-11/58688.

მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები⁵⁹ ითვალისწინებდა 238 ცალი ფაქტობრივად არსებული რადიატორის დემონტაჟს და დასაწყობებას. უნივერსიტეტის პასუხისმგებელმა პირებმა ვერ მოგვარდეს ინფორმაცია მათი განთავსების შესახებ.

2020 წელს უნივერსიტეტმა მოძრავი და უძრავი აქტივების აღწერისა და რეესტრის შედგენის მიზნით, ელექტრონული ტენდერით,⁶⁰ ხელშეკრულება გააფორმა მიმწოდებლთან. წარმოდგენილი დასკვნის თანახმად, უნივერსიტეტს არ გააჩნია სააღრიცხვო პოლიტიკა, ერთმანეთს არ ედრება ორგანიზაციის ბალანსისა და ბუღალტრული პროგრამის მონაცემები, დარღვეულია არაერთი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნა და სხვ.

დასკვნა

უნივერსიტეტში არ არის ჩატარებული ბალანსზე რიცხული 44,872,912 ლარის აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რაც ზრდის აქტივების დაუცველობასთან დაკავშირებულ რისკებს. ამასთანავე, საბალანსო მონაცემებში დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები უსაფუძვლოდ გაზრდილია 174,651 ლარით, რაც შიდა კონტროლის სისუსტესა და აღრიცხვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

რეკომენდაცია N8

უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია. ამასთანავე, გათვალისწინებულ იქნეს აუდიტის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები და გამოკვლეულ იქნეს უნივერსიტეტის ქონების შესაძლო დაზიანების/დაკარგვის ფაქტები.

აუდიტორები

ირაკლი ანანიძე

წამყვანი აუდიტორი

გოჩა შარაბიძე

მთავარი აუდიტორი

ნადიმ ბოლქვაძე

მთავარი აუდიტორი

მაია მუჯირიშვილი

უფროსი აუდიტორი

რუსუდან ბოლქვაძე

აუდიტორ-ასისტენტი

ხელმოწერა

⁵⁹ 2018 წლის 13 დეკემბრის ხელშეკრულება N323, 2019 წლის 19 სექტემბრის ხელშეკრულება N255.

⁶⁰ NAT190023295.

დანართები

დანართი N1.

ცხრილი N4. ხარჯთაღრიცხვაში განხორციელებული ცვლილებების შედარება

N	დასახელება	ცვლილებამდე				ცვლილების შემდეგ		
		განზ. ერთ.	რაოდენობა	ერთ. ფასი	ლირ-ბა	რაოდენობა	ერთ. ფასი	ლირ-ბა
1	ინვენტორული გარე ბლოკი ვიბრატორებით N-45 კვტ	6	4	407.14	1,628.56	5	1800	9,000
2	კასეტური ტიპის შიგა ბლოკი N-15 კვტ MDV-D15Q4/N1-A3 მართვის პულტით	6	8	508.93	4,071.44	8	1890	15,120
3	სატუმბო დანადგარი Q=75.6 m³/sT, H=40 m N=30 კვტ	კომ	1	142.5	142.5	1	12000	12,000
4	ტუმბო (ჯოკეი) Q=2,52-4,0 m³/sT , H=43.4 m	კომ	1	142.5	142.5	1	8500	8,500
5	სარეზერვო წყლის ავზი 2X2X2	6	1	855	855	1	1700	1,700
	ჯამი:				6,840			46,320

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE